სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 23 0001570108

17/11/2023

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, ბატონ ჯემალ გახოკიძის 2023 წლის 16 ნოემბრის MES 6 23 0001560248 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის 08 დეკემბერს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- სამშენებლო ფაკულტეტი - 2 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;

- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი, 2 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 2 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- კვების მრეწველობის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ს/კ „ტალღა“ - 1 ვაკანტური ადგილი;
- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან შესაბამისი კვოტით აირჩევა აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (გარდა ასისტენტისა) და ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად აირჩევა ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წევრი.

3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

4. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის სტუდენტების წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ამომრჩეველთა შესაბამის სიაში არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

7. კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 24 ნოემბრიდან 01 დეკემბრის ჩათვლით.

8. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/სტუდენტის სტატუსის/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

9. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოებმა 2023 წლის 24 ნოემბრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

10. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

11. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

12. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

13. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
14. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით